



თვითმმართველი თემი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 119

„15“ დეკემბერი 2015 წელი

თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
„თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის ფიზიკური და კერძო
სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარეგებლობაში) არსებულ
მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარებაზე უფლებამოსილი კომისიის“
თავმჯდომარეზე - ზაზა ზაზაშვილზე ფულადი ჯილდოს გაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონია „ადგილობრივი თვითმმართველობის
კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად,

1. თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს,
„თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის ფიზიკური და კერძო
სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარეგებლობაში) არსებულ
მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარებაზე უფლებამოსილი კომისიის“
თავმჯდომარეს - ზაზა ზაზაშვილს დაკისრებული უფლებამოსილების ზედმიწევნით
და სანიმუშო შესრულებისთვის მიეცეს ფულადი ჯილდო 1350 ლარის ოდენობით
2. განკარგულების შესრულება უზრუნველყოს გამგეობის საფინანსო -
საბიუჯეტო და სოციალურ საკითხთა სამსახურმა.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ
სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (ქ. თელავი, დ.
ადმაშენებლის გამზირი №41).

საკრებულოს თავმჯდომარე



პაატა გიორგობიანი